

## კოტე ყიფიანი

ცნობილი ქართველი მსახიობი კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი 1949 წლის (3) 15 მარტს თბილისში დაიბადა, გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ოჯახში. მისი ამქვეყნად მოვლინება იმთავითვე თეატრთან იყო დაკავშირებული. ამ დღეს, როგორც კოტე ყიფიანი ავტობიოგრაფიაში წერს, კავკასიის მთავარმართებელ ვორონცოვს თავის სასახლეში წარმოდგენა ჰქონია, რომელზეც დ. ყიფიანი მეუღლითურთ იყო მიპატიჟებული. მიუხედავად ფეხმძიმობისა, ნინო არ გამოკლებია ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას და წარმოდგენაზე იმყოფებოდა. სპექტაკლის მსვლელობისას მშობიარობის მოახლოება უგრძვნია და სასწრაფოდ შინ დაბრუნებულა. კოტე თავის მოგონებაში „ჩემი არტისტული თავგადასავალი“ წერს: „დედაჩემს რომ შინ წასვლა დაეგვიანა, წარმოდგენის დროს გაეჩნდებოდა თეატრის დარბაზში“.

დიმიტრი ყიფიანი ევროპულად განათლებული კაცი იყო და შვილებსაც კარგი განათლება მისცა. კოტემ დაწყებითი წვრთნა ოჯახში მიიღო, ხოლო 1858 წელს იგი სახაზინო სასწავლებელში მიაბარეს.

კოტეს ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა მხატვრობის ნიჭი და მამამ სხვა საგნის პედაგოგებთან ერთად ხატვის მასწავლებლად სახელგანთქმული ბრიულოვის მოწაფე, მხატვარი ბაბაევი აუყვანა. კოტე დიდი იმტერესით დაეწაფა ფერწერას და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მან 1865 წელს პეტერბურის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კლასში განაგრძო სწავლა, მაგრამ თვალის მძიმე დაავადების გამო კოტე იძულებული გახდა აკადემიისათვის თავი დაენებებინა.

1866 წელს კ. ყიფიანი შევიდა მოსკოვის ახლად დაარსებულ პეტრე პირველის სახელობის ე. წ. პეტროვ-რაზუმიოვსკის სატყეო-სამინადმოქმედო აკადემიაში, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო საქართველოში 1870 წელს დაბრუნდა. 1873 წლიდან სახელმწიფო სამსახურში შედის და მუშაობას იწყებს აქციზის ქუთაისის მესამე განყოფილების ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ. ამ თანამდებობაზე კოტემ ცამეტი თვე დაჰყო.

1875 წელს მეფისნაცვალმა მიიწვია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულების მმართველის თანაშემწედ. ამ თანამდებობაზე კოტეს მიწვევის მიზეზი ის გახლდათ, რომ იმ დროს საქართველოში კოტე ყიფიანი იყო ერთადერთი ქართველი, რომელსაც მიღებული ჰქონდა უმაღლესი სამეურნეო განათლება. აქ კოტემ დიდად გამოიჩინა თავი. იგი აწარმოებდა მეცნიერული ხასიათის დაკვირვებებს, რომელთა საფუძველზე შემდეგ დაწერა მეცნიერული შრომები: „ზოგიერთი ცნობა ბორჯომის ისტორიიდან“, „ქვეყანა, ბუნება და ადამიანები“, „მცენარე და ადამიანი“, „საუბარი ბუნების შესახებ“ და სხვა. შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი. კოტემ მამამისსა და დიდ მთავარს შორის ბორჯომის მამულების თაობაზე ატეხილი დავის გამო სამსახურს თავი დაანება და თავისი ბედი ქართულ თეატრს დაუკავშირა. უკვალოდ არ ჩაუვლია ამ შრომას და რუდუნებას. კოტე ყიფიანი სიცოცხლეშივე ითვლებოდა ქართული სამსახიობო რეალისტური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

კოტე სცენაზე პირველად თბილისში 1862 წელს სცენისმოყვარეთა ერთ-ერთ საქველმოქმედო წარმოდგენაში გამოვიდა და შეასრულა პაჟის როლი მოლიერის კომედიაში „ძალად ცოლის შერთვევინება“, რომლის თარგმანი დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა. მისი ეს გამოსვლა ერთგვარი კურიოზით დამთავრდა, ამიტომ მან როლების შესრულებაზე უარი განაცხადა და სუფლიორად მუშაობა. 1875 წელს კვლავ გამოვიდა სცენაზე და დიდი წარმატებით შეასრულა გიქოს როლი გ. სუნდუკიანცის პიესაში „პეპო“. კოტე ყიფიანი ზოგჯერ რუსულ დასში ლეზულობდა მონაწილეობას. განსაკუთრებით ოსტროვსკის პიესაში „შემოსავლიანი ადგილი“ გენერალ ვიშნევსკის როლის შესრულების შემდეგ უნდოდან მისი გადაბრუნება რუსულ სცენაზე და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ვერც ვ. ფორკატინიმ (მაშინდელი რუსული დრამის ანტრეპნიორმა) და ვერც სხვამ ვერ დაიყოლია. კოტემ სხვაგან დალბინებას მშობლიური სცენის ჭირ-ვარამის გაზიარება არჩია.

კოტე ყიფინი 1879 წ. მუდმივმოქმედი ქართული თეატრის განახლების ერთ-ერთი ინიციატორი და 1881 წ. ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი იყო. ამავე დროს აირჩიეს საზოგადოების მდივნად. იგი ნახევარი საუკუნე ემსახურა ქართულ სცენას და როგორც მშობლიური, ისე რუსი და ევროპული დრამატურგიის თითქმის ყველას საყურადღებო პიესა გააცნო თავის აუდიტორიას.

აი იმ პიესების არასრული სია, რომებშიც უთამაშია კოტეს: „ადვოკატები“, „ავადმყოფი სახლი“, „შავი სენი“, „ანუკა ბატონიშვილი“, „არსენა“, „ბაიყუმი“, „ბიძიასთან გახუმრება“, „ბორკილი“, „ბრაზიანი ამერიკელი“, „ბუტიობა“, „გაყრა“, „გლახა ჭრიაშვილი“, „დავა“, „დავი-დარაბა“, „დათვი“, „დატრიალდა ჯარა“, „და-ძმა“, „განდეგილი“, „ვაი ჭკუისაგან“, „ვენეციელი ვაჭარი“, „თამარ ბატონიშვილი“, „კარდინალი რიშილიე“, „კინტო“, „მარგარიტა გოტიე“, „მას-კარადი“, „ოტელო“, „პატარა კახი“, „პეპო“, „ყაჩაღები“, „შეშლილის წერილები“, „ძუნწი“, „ხანუმა“, „ხათაბალა“, „ჰამლეტი“ და სხვა.

ქართულ თეატრში კოტე ყიფინმა 120-ზე მეტი სასცენო სახე შექმნა. შეუძლებელი იყო ყველა სახე თანაბარი საძლიერის ყოფილიყო, მაგრამ დიდი უმრავლესობა განსაკუთრებული ოსტატობით ჰქონდა შესრულებული. მათ შორის აღსანიშნავია: სვომონ ლეონიძე, ანანია, გიგო, ოტია ჯოლია, რიშილიე, ვენეციელი ვაჭარი, მეფე ლირი, ჟან ბოდრი. იგი თანაბარი სიძლიერით ასრილებდა როგორც კომიკურ, ისე დრამატულ როლებს. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს მაშინდელი პრესა. მაგალითად ჟურნალი „ქართული თეატრი“ სწერს: **„კოტე ყიფინი დრამატული არტისტია, ეგრედწოდებულ დრამატიულ რეზონიერის ამპლუაზე ბადალი არ ჰყავს. არ ჰყავს აგრეთვე ბადალი მოხუცებული ბებრების კომიკურ როლებში, რომელთაც დიდის ხელოვნებით ასრულებს ხოლმე. ამ მხრივ კოტე ყიფინის ნიჭი სწორედ შესანიშნავია. ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთი და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს დრამატიული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კოტე ყიფინი სრულებით არაჩვეულებრივი მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე მაინც.“** – ვალერიან გუნიან.

მიუხედავად იმისა, რომ, კოტე ყიფინი პროფესიონალი მსახიობი იყო, იგი ხშირად მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა და სახალხო სახლის სპექტაკლებში. მის შემოქმედებაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში მარტო თავის საუკეთესო მთავარ როლებს კი არ თამაშობდა, არამედ ხშირად ეს როლები მას სხვა სცენისმოყვარეთათვის დაუთმია, მიუცია მათთვის საჭირო რჩევა-დარიგება და თვითონ რაიმე პატარა როლი შეუსრილებია, რომ მისი ავტორიტეტის ნყალობით, სპექტაკლებზე მეტი მაყურებელი მოსულიყო.

კოტე ყიფინი ჭეშმარიტი სახალხო არტისტი იყო, რომელსაც თავისი შემოქმედება დაჰყავდა ხახლის ფართო მასებამდე, ემსახურებოდა მათი აღზრდის საქმეს. 1914 წელს გაზეთ „ფიქრში“ შეფასებულია კოტე ყიფინის ღვაწლი სახალხო სცენისა და ქართველი ხალხის წინაშე: **„სიცხე პაპანაქებაში, სიცვიეში, ქარბუქში კოტე ყიფინს ვხედავთ ნაძალადევი, ავჭალის სახალხო თეატრში, ნავთლულში, სადაც ის მოუსვენრად მუშაობს, ხშირად მშინერ-მწყურვალი, დაღლილ-დაქანცული. ის ყველგან მუშაობს, დაუზარებლად, სრულიად უსასყიდლოდ, უჯილდოვოთ, კოტე ყიფინი უძლიერესი სულიერი კავშირით დაუკავშირდა სახალხო სცენას, შეუკავშირდა ხალხს და ხალხმაც შეიყვარა მისი დამსახურებული და ნიჭიერი მოჭირნახულე კოტე ყიფინი“.**

კოტე ყიფინმა თავისი შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარების საქმეში. ამიტომაც მაღლიერმა ქართველმა ხალხმა 1894 წელს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის, ხოლო 1914 წელს შემოქმედებითი მაღვაწეობის 45 წლის იუბილე გადაუხადა.

გარდა სამსახიობო მოღვაწეობისა, კოტე ყიფინმა თავისი წვლილი შეიტანა ლიტერატურასა და მეცნიერებაში. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი პუბლიცისტური წერილები, მოთხრობები, ისტორიული ნარკვევები, კრიტიკული წერილები, დრამატიული თხზულებანი. მან დაწერა, გადმოაკეთა და თარგმნა 20-მდე სხვადასხვა ჟანრის პიესა. მისი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესებია: „ვახუშტი სპასალარი“ – ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, „ორი მამა“ – დრამა 5 მოქმედებად, „ეკა გურიელი“ – ისტორიული დრამა 2 მოქმედებად, „ბრძოლა“ – ისტორიული დრამა 4 მოქმედებად, „ნაპერწკალი“ – კომედია 2 მოქმედებად, „ბედი ქართლისა“ – ისტორიული დრამა 4 მოქმედებად, „დატრიალდა ჯარა“ და სხვა. თარგმნა პიესები: ვ. ჰიუგოს „ტორკვემადა“, ო. დე. ბალზაკის „მერკადე“, „მერიმა ანუ ბოსნეველები“. დაწერილი აქვს რუსულ ენაზე 4 მოქმედებიანი კომედია „საოჯახო ომი“, რომელიც ტფილისის რუსულმა თეატრმა 1884 წელს დადგა. მისი რამოდენიმე პიესა დაიდგა რევოლუციამდელი ქართული თეატრის სცენაზეც.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც ორას ათასამდე ქართული სიტყვა აქვს განმარტებული. შეადგინა წიგნი – „1000 ქართული მონოგრამა“ და სხვა.

კოტე ყიფინი გარდაიცვალა 1921 წლის 17 აპრილს და დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## კოტე ყიფიანის პირადი არქივი

### ზიოპრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1 კოტე ყიფიანის მოწმობის ასლი. გაცემული პეტროვო-რაზუმოვსკის სატყეო-სამინათმოქმედო აკადემიის მიერ.

1869 წ. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. კოტე ყიფიანის ახსნა-განმარტებითი ბარათი ქართული თეატრის კომიტეტისადმი მისი დრამატული დასიდან წასვლის მიზეზებზე და რეჟისორ გიორგი თუმანოვთან კონფლიქტის შესახებ.

1879 წ. 9 ნოემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. ჭვირნიშნიანი ფურცელი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

3. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს დადგენილება კ. ყიფიანის იუბილეზე მაზრის თავადაზნაურთა მონაწილეობის შესახებ. აგრეთვე საკრებულოს მიერ გამოყოფილი იქნა 600 მანეთი ბ-ნი კ. ყიფიანის მოხუცებულობის უზრუნველსაყოფად.

ხელს აწერს: გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი – ი. კ. აფხაზი, მდივანი თავადაზნაურობისა – კლ. ზურაბიშვილი.

1914 წ. 18 იანვარი. ტფილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 2 გვ.

4. სახელმწიფო დრამის თეატრის კომისრის იუზა ზარდალიშვილის შუამდგომლობა მსახიობ კოტე ყიფიანისა და მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ (20000 მანეთი).

1921 წ. აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.

5. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კოლექტიური განცხადება გუბერნიის მთავარმართებლისადმი. ითხოვენ შუამდგომლობის აღძვრას სოფ. ქვიშხეთში დიმ. ყიფიანის ადგილ-მამულის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, ხოლო კონსტანტინესადმი შეძლებისდაგვარად არსებული შეღავათების გამოყენებას.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

### ვემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა თარგმანი და ლიტერატურული ნაწარმოები

6. კოტე ყიფიანი – „გამქრალი ბედნიერება“ (მიბაძვა, ჩემი მეგობრის ამბავი).

1882 წ. 14 იანვარი. ტფილისი. ავტოგრაფი. ტუში. 42 გვ.

7. ქართული თეატრის დაარსებიდან 48 წლის შესრულების გამო დაწერილი ლექსი „სახსოვრად“.

1897 წ. დეკემბერი. ქუთაისი. ავტოგრაფი. დაზიანებული. ტუში. 2 გვ.

8. კომედია – „მე აქ არა ვარ?“ („Я же здесь“) გადმოკეთებული კოტე ყიფიანის მიერ (1 მოქმედება).

1908 წ. აგვისტო. ავტოგრაფი. ტუში. 28 გვ.

9. კოტე ყიფიანის ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“ (1 მოქმედება, დაუსრულებული).

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 8 გვ.

10. კოტე ყიფიანი: ესკიზი „ბოსელში“.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 14 გვ.

11. „მონპელიელი ექიმი“. ფრანგულიდან თარგმნა კოტე ყიფიანმა.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 25 გვ.

12. კოტე ყიფიანის მოთხრობა „მოძღვრება“ (სიცოცხლე, ცხოვრება და მოქმედება).

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 6 გვ.

13. კავკასიელ მთიელთა ცხოვრებიდან: ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ბერდია“. კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 24 გვ.
14. ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელბერდი“ (კავკასიელ მთიელთა ცხოვრებიდან). კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 34 გვ.
15. ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ნინო“ (კავკასიელ მთიელთა ცხოვრებიდან). კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 12 გვ.
16. კოტე ყიფიანის ოთხმოქმედებიანი ისტორიული ქრონიკები – „Участь Грузий“.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 126 გვ.
17. ს. გ. სვატიკოვის თხზულება „ერის წარმომადგენელი“. კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 70 გვ.
18. ისტორიული დრამა „გამარჯვება“ („Победа“), აკ. ნერეთლის „ბაში-აჩუკის“ მიხედვით. კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 47 გვ.
19. კოტე ყიფიანის საიუბილეო სპექტაკლი „ლიბერტო“ 4 მოქმედებად. ჩასწორებული კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

### პუბლიცისტური წერილები

20. კოტე ყიფიანი. ქართული თეატრის დაარსების 48 წლის შესრულების გამო.  
1898 წ. 2 იანვარი. ქუთაისი. ავტოგრაფი. ტუში. 3 გვ.
21. კოტე ყიფიანის წერილის ფრაგმენტი. უკმაყოფილებას გამოთქვამს თეატრის გამგეობაზე.  
1909 წ. 22 მარტი. ავტოგრაფი. ტუში. 1 გვ.
22. კოტე ყიფიანის წერილის ფრაგმენტი ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.
23. კოტე ყიფიანის შენიშვნები დრამატული მწერლობისა და სამსახიობო ხელოვნების შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 6 გვ.
24. კოტე ყიფიანი. „ხმა საქართველოდან“ წერილი რედაქციას, საქართველოს ისტორიის შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 40 გვ.
25. კოტე ყიფიანის პუბლიცისტური წერილები. შეკრული ერთ წიგნად.  
ა). პუბლიკაცია 4. „მდგომარეობა ქართულ თეატრში“. დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. 1875 წ. 03. 11.  
ბ). პუბლიკაცია 5 და 6. „მდგომარეობა ქართულ თეატრში“. დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. 1876 წ. მაისი და 1877 წ.  
გ). პუბლიკაცია 7. „ქართული რეპერტუარი“ – დრამები, ტრაგედიები, კომედიები, ვოდევილები, თარგმნები, დამატება. დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. 1876 წ.  
დ). პუბლიკაცია 8. „ზემო ქართლის გლეხების მდგომარეობა“. გაზ. „ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИКЪ“, 1877 წ.  
ე). პუბლიკაცია 10. „ზემო ქართლის გლეხების მდგომარეობა“. გაზ. „ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИКЪ“. 1878 წ. 24. 02.  
ვ). პუბლიკაცია 11. „ზოგი რამ“. გაზ. „ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИКЪ“. 1878 წ. 30. 11.  
ზ). პუბლიკაცია 12. „მინის ნიადაგი“. 1878 წ.  
პუბლიკაცია 15. „მტკვრის აუზის სატყეო მრეწველობის მიმოხილვა“.

გაზ. „ОБЗОР“. 1879 წ. 03. 01.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 146 გვ.

26. კოტე ყიფიანის რეცენზია ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ქუისაგან“ შესახებ, დადგმული სომხური დასის მიერ.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 6 გვ.

27. კოტე ყიფიანის სტატია „თეატრის მნიშვნელობა“. ჟურნალი „ივერია“ (ავტორი მიმოიხილავს თეატრის დანიშნულებას, აღნიშნავს რომ თეატრი სამსჯავროა, მასწავლებელი და ქვემარტი აღმზრდელი ადამიანისა).

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 24 გვ.

28. კოტე ყიფიანის სტატია „დამრიგებლობითი მონახაზი“. („Нравоучительные наброски“).

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ბოლონაკლული. ჭვირნიშნიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

29. კოტე ყიფიანი „ბორჯომის მამული“. მოკლე აღწერილობა.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 5 გვ.

30. კოტე ყიფიანის წერილი „კანონიერებისა და ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე“. დიმიტრი ყიფიანის წერილების მიხედვით.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 19 გვ.

### სამეცნიერო წერილები და შრომები

31. კოტე ყიფიანი. „ქვიშხეთის შემოგარენში არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ“. მოცემული აქვს ძეგლების ჩამონათვალი და მათი ისტორია.

1891 წ. 25 მარტი. ქვიშხეთი. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

32. კოტე ყიფიანი. „ქართული ასტრონომია“.

1899 წ. მაისი. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 3 გვ.

33. კოტე ყიფიანი. „ზოგიერთი ცნობა ბორჯომის ისტორიიდან“.

1901 წ. აპრილი. ქვიშხეთი. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 40 გვ.

34. კ. ყიფიანი. მთვარის ფაზის აღრიცხვა.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

35. კოტე ყიფიანი. „ქვეყანა, ბუნება და ადამიანი“. ნაშრომი დაყოფილია თავებად: 1) გეოლოგიური აღწერა; 2) ქვეყნის სიძველე და ადამიანის გაჩენა; 3) ხარისხეული მნიშვნელობა; 4) დღის სიდიდე სააქაოს შედგმულობაში; 5) წარღვნის გამოძიება ანუ გამოკვლევა.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 38 გვ.

36. კოტე ყიფიანის ლექციების კრებული „მცენარე და ადამიანი“. სამკურნალო მცენარეები, ბოტანიკური ბაღები, ორანჟერეა, მცენარე ხელოვნებაში, მცენარე მხატვრობაში, მცენარე ჩუქურთმაში, მცენარე აღწერილი საბოტანიკო თხზულებაში.

უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. ჩასწორებული რუსულ ენაზე. 21 გვ.

37. კოტე ყიფიანი. „ტფილისის საადგილმამულო ბანკის ისტორიული გამოკვლევის კონსპექტი“.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ჭვირნიშნიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

38. კოტე ყიფიანი. „მთვარის ფაზის მოძრაობის ასტრონომიული გამოთვლების შესწავლის ისტორია საქართველოში“.

უთარილო. ავტოგრაფი. ჭვირნიშნიანი ფურცელი. ტუში. რუსულ ენაზე. 3 გვ.

39. კოტე ყიფიანის ჩანაწერი „24 საათით ადრე ამინდის პროგნოზის განსაზღვრის რეცეპტი“.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

40. კოტე ყიფიანი. „კავკასიის ტრიანგულაცია“. კავკასიის მოსახლეობის ტოპოგრაფიული აღწერილობა.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 10 გვ.
41. რუსულ-ქართული ლექსიკონი (შედგენილი კოტე ყიფიანის მიერ).  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 1 საკანცელარიო რვეული. 92 გვ.
42. კოტე ყიფიანი. „კანონის უგულვებელყოფა“ (მოგონება ბორჯომის მამულის სასამართლოს საქმის შესახებ).  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ჭვირნიშნიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 39 გვ.
43. კოტე ყიფიანი. „საუბარი ბუნების შესახებ“.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 50 გვ.
44. კოტე ყიფიანი. „საქართველოს ტერიტორია“. სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სამი გუბერნიისა და ორი ოლქის განლაგება-შემადგენლობის შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.
45. კოტე ყიფიანი. სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის მუშაობის შესახებ. ეხება დიმიტრი ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ამ სფეროში.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი, ტუში. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
46. „1000 ქართული მონოგრამა“ შედგენილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1889 წ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ტუში. 103 გვერდი.

### სხვადასხვა ჩანაწერები

47. ქართული გამოცემები შეკრებილი კოტე ყიფიანის მიერ. უგზავნის „ნაკადულის“ რედაქციას.  
1904 წ. გიორგობისთვე. ქვიშხეთი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.
48. კოტე ყიფიანი ქართული დრამატული საზოგადოების მუშაობის შესახებ.  
1907 წ. 13 მარტი. ტფილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
49. დ. გურამიშვილის ბრძნული გამონათქვამები და სხვადასხვა ქართული ანდაზები. გადმოწერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 2 გვ.
50. კოტე ყიფიანის ლექსი-გამოცანა „ჯორდანო ბრუნო“.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 2 გვ.
51. კოტე ყიფიანი. „ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებები“ (სია).  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 14 გვ.
52. აკროსტიხი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.
53. სხვადასხვა ჩანაწერები და ანდაზები შეკრებილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 6 გვ.
54. გამოცანები შედგენილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 7 გვ.
55. კოტე ყიფიანის სხვადასხვა ჩანაწერების წიგნაკი: ა). „ყვავილების სიმბოლიკა“, ტიპოგრაფიული ნიშნები, ქართული სინონიმები; ბ). კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო ბენეფისის მასალები (მისაღებები: გიორგი ჟურულის, ვიქტორ ფორკატის, ნიკოლოზ ავალოვის, ვასო აბაშიძის, გევორქ პეტროსიანის, ვალერიან გუნიას, ფოთიდან – იონა მეუნარგიასი და ნიკო ნიკოლაძის, ქუთაისიდან – მესხის და ნიკო მენგრელსკის, ჟურული-მაქარაშვილის). გ). ვასილ ლვოვის ძე ველიჩკოს ლექსი-დეკლამაცია

„სალამი საქართველოს“. დ). კოტე ყიფიანის ნაწარმოებთა ნუსხა. ე). კოტე ყიფიანის შეხედ-  
ულება თეატრალური და სამსახიობო ხელოვნების შესახებ. ვ). კოტე ყიფიანის შარადები.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი, ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 33 გვ.

56. ფრაგმენტები კოტე ყიფიანის პიესიდან „დენიზა“.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.

57. კოტე ყიფიანის მიერ სოფ. ქვიშხეთის სამკითხველოსთვის შეწერილი წიგნების,  
ჟურნალების სია და ფასი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

58. აკაკი წერეთლის პოემის „ნათელა“-ს მოკლე შინაარსი. კოტე ყიფიანის თარგმანი.  
უთარილო. ხელნაწი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

59. გორის მაზრის საყდრებისა და მონასტრების სია.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

60. კოტე ყიფიანი. „სათამაშო-საწურთვნილი გასართობი“.  
1901 წ. მაისი. ქვიშხეთი. ტუში. ავტოგრაფი. 3 გვ.

61. კოტე ყიფიანი – ადამიანის მოვალეობის შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

62. კოტე ყიფიანის რეცენზიის ფრაგმენტი (ქართულ თეატრში დადგმული გ. სუნ-  
დუკიანცის „ხათაბალა“-ს შესახებ).  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

63. კოტე ყიფიანი. „გრიმიროვკა“ (გრიმის გამოყენების შესახებ).  
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. შავი მელანი. 4 გვ.

64. კოტე ყიფიანის პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომების სია.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

65. კოტე ყიფიანის შემოქმედებითი და ლიტერატურული მასალების ნუსხა. მოცემუ-  
ლია კ. ყიფიანის არქივის არასრული ჩამონათვალი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 რვეული. 16 გვ.

66. კოტე ყიფიანის მიერ გამოქვეყნებულ სტატიათა და დრამატულ ნაწარმოებთა  
სია.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ და ქართულ ენებზე. 4 გვ.

67. ლოცვის ტექსტი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 2 გვ.

68. ანდაზები და შაირები ჩანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 1 გვ.

69. კოტე ყიფიანის ჩანაწერები ა. ი. სუმბათაშვილის დრამის „ლალატის“ შესახებ.  
ა). ოთარბეგის როლი, ბ). ანანიას როლი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 56 გვ.

70. კოტე ყიფიანის ჩანაწერი ქართველ გლეხთა მდგომარეობის შესახებ (ფრაგმენტი).  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

71. კოტე ყიფიანის ჩანაწერები ადამიანის ცხოვრების, ზნეობისა და სარწმუნოების  
შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

72. კოტე ყიფიანი. ქართველი ხალხის მდგომარეობა მეფის რუსეთის დროს  
(დაუმთავრებელი).

უთარილო. ავტოგრაფი ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

73. კოტე ყიფიანი. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სათავადაზნაურო კაპიტალის წესდების პროექტის შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 3 გვ.

74. საქართველოს სამღვდლოების ეპარქიის მიერ გაგზავნილი პეტიცია მინისტრთა კომიტეტისადმი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ. დაუსრულებელი.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

### **ეპისტოლარული მემკვიდრეობა კოტე ყიფიანის წერილები სხვადასხვა პირთან**

75. კოტე ყიფიანის წერილი ვასილ მიხეილის ძისადმი (?), ფორკატის თეატრალურ დასში მოწყობის შესახებ.

1888 წ. 3 სექტემბერი. ქვიშხეთი. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

76. კოტე ყიფიანის საპასუხო წერილი გაზეთ „Новое Обозрение“-ს რედაქტორისადმი. ლ. ბოცვაძის ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გამო, კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ.

1896 წ. 19 ოქტომბერი. ქვიშხეთი. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

77. კოტე ყიფიანის წერილი გაზეთ „Закавказская Речь“-ის რედაქტორისადმი. აღმ-ფოთებულთა მემკვიდრეებთან შეთანხმების გარეშე, დიმიტრი ყიფიანისა და გაბრიელ ეპის-კოპოსის (ქიქოძის) წერილების პუბლიკაციის გამო.

1905 წ. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 3 გვ.

78. კოტე ყიფიანის წერილი რედაქტორისადმი (?). თავისი სასცენო-მემოქმედებითი მუშაობის შესახებ. უკმაყოფილოა, რომ დრამატული საზოგადოების მიზეზით თეატრის სცენას უდროოდ ჩამოშორდა.

1911 წ. 9 იანვარი. ავტოგრაფი. ტუში. 8 გვ.

79. კოტე ყიფიანის საპასუხო წერილი გიგოსადმი (?), კახეთის რკინიგზისთვის გამართულ დეპუტატთა სხდომის შესახებ; საუბარია აგრეთვე დიმიტრი ყიფიანის ძეგლის დადგმის თაობაზე.

1911 წ. 16 მარტი. ავტოგრაფი. ტუში. რუსულ ენაზე. 5 გვ.

80. კოტე ყიფიანის საპასუხო წერილი გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტისადმი. კ. ყიფიანი იძლევა ახსნა-განმარტებებს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დამ-ვებულ ფაქტობრივ უზუსტობებზე, ქვიშხეთის გლეხთა და მემამულეთა კონფლიქტის შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. დაზიანებული. 2 გვ.

81. კოტე ყიფიანის წერილი ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისადმი. უკმაყოფილებას გამოთქვამს დრამატული საზოგადოების გამგეობის საქმიანობის გამო მისი იუბილეს გამართვის დროს.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 3 გვ.

### **სხვადასხვა პირის წერილები კოტე ყიფიანისადმი**

82. მისი საიმპერატორო უმაღლესობა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ბორჯომის დაცული მამულის მმართველის ა. არდაშოვის (?) წერილი კოტე ყიფიანისადმი. ატყობინებს, რომ გაეცნო მის პროექტს ბორჯომის მამულის შესახებ და უარს უთვლის განხორციელებაზე ფინანსური დანახარჯის გამო.

ხელს აწერს: მმართველი ა. არდაშოვი (?).

1895 წ. 24 ივნისი. ბორჯომი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ბლანკი. ტუში. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

83. მისი საიმპერატორო უმაღლესობა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანო-



ვის ბორჯომის დაცული მამულის მმართველის წერილი კოტე ყიფიანისადმი. ატყობინებს, რომ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უკრძალავს კოტე ყიფიანს თავისი ნაშრომის „ზოგი რამ ბორჯომის ისტორიის შესახებ“ პრესაში დაბეჭდვას.

ხელს აწერს მმართველი (გვარი არ იკითხება).

1901 წ. 10 ივლისი. ბორჯომი. ნაბეჭდი ბლანკი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

84. იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს საპასუხო წერილი კოტე ყიფიანისადმი. სწერს თავის შთაბეჭდილებებს კ. ყიფიანის ნაშრომზე „**Кое-что о духовных пастырях**“.

1905 წ. 7 ივლისი. ქუთაისი. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 6 გვ.

85. ნიკო ნიკოლაძის წერილი კოტე ყიფიანისადმი. სწერს, რომ დაეხმარება ფოთის ბანკის ჩამოყალიბებაში და მოსამსახურე პირების არჩევაში.

პირი: იაკობ მანსვეტაშვილი, ანდრია ქავთარაძე, ივ. გომართელი, ნინო ბეჟანის ასული, სოფრომ მგალობლიშვილი.

1914 წ. 20 აპრილი. სანქტ-პეტერბურგი. ავტოგრაფი. ტუში. 3 გვ.

86. შუამთის მონასტრის მღვდლის – პიროს ალავერდელის წერილი კოტე ყიფიანისადმი. მაღლობას უხდის ამანათის გაგზავნისთვის და მატერიალურ დახმარებას ჰპირდება.

1916 წ. 17 მარტი. თელავი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

87. მიხაკო ყიფიანის წერილი კავკავიდან კოტე ყიფიანისადმი. სწერს ყიფიანების საგვარეულოს გენეალოგიის შესახებ.

პირი: ტატო გლახჩიის შვილი რევაზი, ანტონ ქაიხოსროს შვილი, ვინმე წითლიაშვილი, გიორგი პაატას ძე ყიფიანი, ქოჩო, პაატა, დავითი, ზაალი, ნიკოლოზი, ივანე, ლოლა, ვასო და ნინო ყიფიანები და სელიმ ყიფიან-ოღლი.

უთარილო. კავკავი. ხელნაწერი. ტუში. 3 გვ.

### **ოფიციალური წერილები კოტე ყიფიანისადმი**

88. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ოფიციალური წერილი კოტე ყიფიანისადმი. აუწყებენ, რომ არჩეულია ამავე საზოგადოების ნამდვილ წევრად.

ხელს აწერენ: ე. თაყაიშვილი, ს. გორგაშვილი.

1907 წ. 28 დეკემბერი. ტფილისი. დასტამბული. შტამპიანი ფურცელი. 1 გვ.

89. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღლობის წერილი კოტე ყიფიანის მიერ წიგნებისა და დიმიტრი ყიფიანის ხელნაწერების შემოწირვის გამო.

ხელს აწერენ: თავმჯდომარის მაგიერ ლ. კარიჭაშვილი, მდივანი ვ. ბურ (?).

1914 წ. 10 დეკემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.

90. ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წერილი კოტე ყიფიანისადმი. ატყობინებენ, რომ წალვერში უნდა აშენდეს ვაჟა-ფშაველას სახელზე მოღვაწეთა აგარაკი და ითხოვენ მატერიალურ დახმარებას.

ხელმოწერა გაურკვეველია.

უთარილო. ტფილისი. დასტამბული. ბლანკი. 4 გვ.

91. ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული კოტე ყიფიანის დაბადებიდან 100 წლისათვის აღსანიშნავი საღამოს მოსაწვევი ბარათი.

1949 წ. თბილისი. დასტამბული. 10 გვ. 5 ეგზ.

### **სხვადასხვა წერილები**

92. დიმიტრი ყიფიანის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, წერილში მოთხოვნილია უ. შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნის შესახებ.

1879 წ. 30 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 6 გვ. 3 ეგზემპლარი.

93. გაზეთ „კასპიის“ რედაქციის წერილი მარიამ პავლეს ასულისადმი (?). სწერს პიესის შესახებ.

ხელმოწერა გაურკვეველია.

1884 წ. 1 ოქტომბერი. ბაქო. ხელნაწერი. მელანი. შტამპიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

94. ნიკო ნიკოლაძის წერილი ნინო ყიფიანისადმი. სწერს თავის შეხედულებას ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით.

პირი: კოტე ყიფიანი და ნინოს ძმა ნიკო.

1914 წ. სანქტ-პეტერბურგი. ავტოგრაფი. ტუში. 4 გვ.

95. დედის, დისა და ბიძოლა ნონიას პირადი ხასიათის წერილი კოტე ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

### **სხვადასხვა პირთა მისალოცი ადრესები, წერილები და სხვა საიუბილეო მასალები**

96. მისლოცი-ადრესი კოტე ყიფიანისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1910 წ. 21 დეკემბერი. ხელნაწერი. ტუში. სომხურ ენაზე. 1 გვ.

97. მისალოცი-ადრესი კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1910 წ. 21 დეკემბერი. ხელნაწერი. ტუში. სომხურ ენაზე. 2 გვ.

98. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1910 წ. 21 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ს. გორგაძე, ს. კაკაბაძე, ალ. სარაჯიშვილი. ტუში. 1 გვ.

99. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1910 წ. 21 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: გ. ყაზბეგი, ლ. ბოცვაძე, დ. კარიჭაშვილი, ა. ყიფშიძე, გ. მდივანი, ვ. გოგიჩაიშვილი, ან. არდაზიანი. ტუში. 1 გვ.

100. ქუთაისის თეატრის მსახიობების მილოცვა კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავის გამო.

1911 წლის 4 იანვარი. ქუთაისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ნინო ჩხეიძე, ეველინა ნუნუნავა, ანა ქიქოძე, მარო მდივანი, დ. ივანიძე, ვ. დეისაძე, ოლიმპიკა ლოლობერიძე, ვასო არაბიძე, ალ. იმედაშვილი, გ. გურული, ვასო ურუშაძე, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, პლატონ კორიშელი, იანგო აპტილიდი, გრიგოლ ჩარკვიანი, ან. მურუსიძე, მიშა ქორელი-ქორიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, ივ. ბარველი. ტუში. 1 გვ.

101. ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1911 წ. 4 იანვარი. ქუთაისი. დასტამბული. 1 გვ.

102. მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 16 იანვარი. მოსკოვი. ტუში. 2 გვ.

103. ზუბალაშვილების სახ. სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელს აწერს: ანასტასია მაჩაბელი და მდივანი ან. ბებურიშვილი.

1914 წ. 12 თებერვალი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

104. ალ. ნუნუნავას მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 4 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

105. ი. ჩუბინიშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს გამო.

1914 წ. 4 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

106. ნაძალადევის თეატრის სცენისმოყვარეთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 27 აპრილი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

107. ა. გოგაშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 27 აპრილი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

108. თბილისის ქართული გიმნაზიის მე-7 კლასის მონ. მიხ. ხერხეულის მილოცვა კოტე ყიფიანს შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 27 აპრილი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

109. ნაძალადევის მცხოვრებთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 27 აპრილი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: გრ. ჩარკვიანი, ბესარიონ დვალიძე, იოსებ მამაცაშვილი, ერმალოზ კველიშვილი, არსენ ხავთასი, არჩილ დევაძე, სიკო ხორბალაძე, ფრანც გოკიელი, ვასილ ნაცვლიშვილი, სოლომონ კონტრიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ნიკალა ქადავიშვილი. ტუში. 1 გვ.

110. კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს შემოსავალგასავლის ანგარიში.

1914 წ. ხელნაწერი. ტუში. 5 გვ.

111. კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს შემოსავალგასავლის ანგარიში.

1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 4 გვ.

112. მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 3 გვ.

113. უკრაინული დრამატ. წრის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 26 იანვარი. ტფილისი. ხელნაწერი ტუში. უკრაინულ ენაზე. 1 გვ.

114. „ავჭალის“ რუსული დრამატიული წრის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელს აწერს რეჟისორი ვ. კუზაგოვი.

1916 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

115. სახალხო სახლის სომხური წრის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1916 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

116. ოსური დრამატული წრის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. ოსურ ენაზე. 2 გვ.

117. თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე: განდევილი ტუში. 1 გვ.

118. გაზეთ „ახალ საქმის“ რედაქტორ-გამომცემლის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელმოწერა გაურკვეველია. რუსულ ენაზე. ტუში. 1 გვ.

119. ბათუმის ქართველი საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი

თი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ბათუმი. დასტამბული. 1 გვ.

120. პროვინციელი სცენისმოყვარე, სტეფანე ნოზაძის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხაშური. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

121. ბათუმის ქართული საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ბათუმი. დასტამბული. 1 გვ.

122. თბილისის ქალაქის თავის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 2 გვ.

123. ზუბალაშვილის სახალხო სახლის მსახიობთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
ხელს აწერენ: ანასტასია მაჩაბელი, ან. ბებერიშვილი, გრ. აბელიშვილი, კ. ჯაფარიძე, ი. რაქვიაშვილი, ელ. რამიშვილი, პ. მანჯგალაძე, ს. ქოსაშვილი.  
1916 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 3 გვ.

124. ჰაიდარ აბაშიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეზე.  
1914 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.

125. სომხეთის დრამატული საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ვ. მამულოვა, ი. ქოჩარიანი, ა. ნაზარიანი.  
ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

126. უცნობი ავტორის მისალოცი ბარათი კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

127. ქართული დრამატული საზოგადოების ანონსი კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. დასტამბული. 2 გვ.

128. ჟურნალი „მათრახი“ (კ. ყიფიანის შემოქმედებით მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით).  
1914 წ. 26 იანვარი. დასტამბული. 4 გვ.

129. კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილის მზადების ხარჯები, შემოსავალ-გასავლის საერთო ანგარიში, შემოწირულობანი და სხვა.  
1914 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. 4 გვ.

130. „სახალხო გაზეთის“ რედაქციის მილოცვა კოტე ყიფიანს შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ტფილისი. ხელნაწერი. ნითელი და შავი მელანი. 1 გვ.

131. ძველი სცენისმოყვარე გიორგი ჯაბაურის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერს: გიორგი ჯაბაური. ტუში. 2 გვ.

132. ავჭალის აუდიტორიის პირველი სცენის მოყვარეთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
ხელს აწერენ: ვასილ თევდორაშვილი, გიორგი ჯაბაური, მიხეილ თუშმალოვი, ამირან ნიკოგოსოვი.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

133. ტფილისის ქართული გაზეთის გამყიდველთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.

134. ეპისკოპოს ლეონიდეს მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. დასტამბული. 2 გვ.

135. ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობის მცხოვრებთა სახელით ი. გ. ფირცხალაიშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ოზურგეთი. ხელნაწერი. ხელს აწერს ი. გ. ფირცხალაიშვილი ტუში. 2 გვ.

136. „ბათუმის გაზეთის“ რედაქციის თანამშრომელთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

137 წ. ტერ-გრიგორიანის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 2 გვ.

138. სახალხო სახლის სომხური სექციის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

139. ქართველ მსახიობთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
ხელს აწერენ: ვასო აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვალ. გუნია, ტასო აბაშიძე, ნინო ჩხეიძე, შაქრო გომელაური, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ სარაული, მიხეილ ქორელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო დავითაშვილი, მარო მდივანი.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

140. კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს მასალები: პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალი, ქართული დრამატული საზოგადოების უწყებები კ. ყიფიანის საღამოზე დასასწრებად, მისალოცი დეპეშები, საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმები, იუბილეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში.  
1914 წ. 16 იანვარი. ავტოგრაფი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ფანქარი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 169 გვ.

141. ხარფუხის წრის რეჟისორის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 16 იანვარი. დაუსრულებელი ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

142. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
ხელს აწერენ: ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ირ. სონღულაშვილი, შ. ქარუმიძე, ს. გორგაშვილი.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

143 ქალთა ამხანაგობის სკოლის გამგეობის თავმჯდომარის სახელით, ეკატერინე გაბაშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

144. ტფილისის დრამატიული საზოგადოების გამგეობის მილოცვა კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

145. ქართული წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების გამგეობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი ხელს აწერს: გ. ყაზბეგი ტუში. 1 გვ.

146. ხარფუხის საზოგადოებრივი კლუბის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელმოწერა გაურკვეველია. ტუში. რუსულ ენაზე. 3 გვ.

147. ნოშრევან მერკვილადის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

148. საშა ბერიაშვილის ლექსი-მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

149. თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამგეობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

150. ნაძალადევის სცენისმოყვარეთა წრის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ანტონ სვანაძე, გერმან სვანაძე, სიმონ ფთაძე, ზინა ბერძენიშვილი, პელაგეა კიკაბიძე, იოსებ კანდელაკი, ალექსანდრე გოგაშვილი, ალექსანდრე ძაძამია, ვლადიმერ დარახველიძე, ვ. კუდუხაშვილი, კ. ბარათაშვილი, ი. თავბერიძე, ქ. კამკამიძე, სვიმონ ყალაბეგაშვილი. დაუსრულებელი. ტუში. 3 გვ.

151. ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ხელს აწერენ: გიორგი შათირიშვილი, ყ. მესხიშვილი, ს. პეპანოვი.  
1914 წ. 26 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

152. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

153. ტფილისელ ხელოსანთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. თბილისი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

154. ტფილისის სახალხო სახლთან არსებული ასირიული დრამატიული წრის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. ტუში. ლითოგრაფიული ნახატი. ასირიულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

155. გორის ქართველი საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. გორი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

156. ილია წინამძღვრიშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1914 წ. 26 იანვარი. დასტამბული. ლითოგრაფიული ნახატი. 1 გვ.

157. ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს გამო.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რესტავრირებული. 2 გვ.

158. მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. ოსმალური ტექსტი. 1 გვ.

159. შალვა დადიანის მიმართვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რესტავრირებული. 1 გვ.

160. მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. არასრული. რესტავრირებული. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

161 პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

162. თბილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზიის მონაფეთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

163. ი. მაყაშვილის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს ი. მაყაშვილი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

164. დარია სუმბათაშვილის, პელაგია ყიფიანის და მ. ქ. ყიფიანის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

165. ლადო დარახველიძის მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს ლადო დარახველიძე. ტუში. 1 გვ.

166. ტფილისის ქართული გიმნაზიის ლიტერატურის მოყვარე წრის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს არჩილ ნაცვლიშვილი. ტუში. 1 გვ.

167. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებული სცენის მოყვარეთა წრის წევრთა მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე ხახანაშვილი, ალ. მეტრეველი, ნიკო გოცირიძე, ნიკო დოლიძე, გიორგი ჯაბაური, ა. კავსაძე, ამ. ივერიელი, მ. რამინიშვილი, ა. ბადრიძე, ვლ. ზურაბიშვილი. ტუში. 2 გვ.

168. ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელს აწერენ: ვლ. ჩიქოვანი, ივ. პურადაშვილი, იაკობ ჩიმიკაძე, სამსონ კილაძე, კონსტანტინე კაჭახიძე. დასტამბული. 2 გვ.

169. ბარბარე და გიორგი ვეზირიშვილების მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

170. მილოცვა კოტე ყიფიანისადმი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. სომხურ ენაზე. 2 გვ.

171. „კოტე ყიფიანის დღესასწაული“ კოტე ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს შესახებ.

უთარილო. დასტამბული. 2 გვ.

## მოგონებები

172. კოტე ყიფიანი. „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“. ფრაგმენტი – კოტე ყიფიანის მოგონებები თავისი 35 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილეს ჩაშლის შესახებ. წერს ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობის, რეჟისორისა და არტისტების დამოკიდებულებებზე.

1909 წ. მარტი. ტფილისი. ავტოგრაფი. ტუში. 6 გვ.

173. კოტე ყიფიანი. „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“. ჟურნალი „ფასკუნჯი“. 12.

1909 წ. 22 მარტი, ტფილისი. ამონებებს სათეატრო მუზეუმის საქმეთა მმართველი ტასო როსტომაშვილი. ნაბეჭდი. 20 გვ.

174. კოტე ყიფიანი. „ჩემი არტისტული თავგადასავალი“. ჟურნალი „ფასკუნჯი“.

1909 წ. თბილისი. 12-13-14. ხელს აწერს კოტე ყიფიანი. ნაბეჭდი. 20 გვ.

175. მოგონებები შეკრებილი კოტე ყიფიანის მიერ.

პირი: დავით დადიანი, როსთო ჩიქვანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, დავით ჭავჭავაძე, კიკო თადეოზის ძე ჩოლოყაშვილი.

აკლია დაბოლოება.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 2 გვ.

## მასალები ყიფიანის გვარის წარმომავლობის შესახებ

176. დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი ყიფიანების გვარის აზნაურობის დამადასტურებელი მასალები. პროპორშიკ ქაიხოსრო ივანეს-ძე ყიფიანის ოჯახის შესახებ.

1852 წ. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

177. დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი ყიფიანების საგვარეულოს გენეალოგია.

1882 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 1 გვ.

178. ტატო (როსტომ) ყიფიანის მიერ შედგენილი ყიფიანების საგვარეულოს გენეალოგია. როსტომ გლახას ძე ყიფიანის შენიშვნებით.

1889 წ. ხელნაწერი. ტუში. ფანქარი. 1 გვ.

179. დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი სია: ა). „ყიფიანების ქალების ქმარნი“, ბ). „ყიფიანების მეუღლეები“.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

180. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი დიაგრამა „აზნაური ყიფიანების ჩამომავლობის შტო“.

უთარილო. ავტოგრაფი. 125X85 სმ. ფანქარი. ტუში. 1 გვ.

## სხვადასხვა ავტორთა ლექსები ჩანაჩილი კოტე ყიფიანის მიერ

181. მარიამ ერისთავის (მაია ჭავჭავაძე) ლექსი „კავკასიის ერნო...“ გადანერილი დიმიტრი ყიფიანის მიერ.

1858 წ. 13 მაისი. ქუთაისი. ხელნაწერი. ტუში. დაზიანებული. 2 გვ.

182. ლ. ტრეფოლოვის ლექსი „დასჯის წინ“ („На кануне казни“). ჟურნალი „День“. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.

1865 წ. 26 ივნისი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

183. პეტრე პავლეს ძე სუვოროვის პოემა „კავკასიის მთებში“ („Въ Кавказскихъ горахъ“). პოემა ეძღვნება ა. პ. ს-ვოი-მ-ლს.

1879 წ. დეკემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. ჩასწორებული კოტე ყიფიანის მიერ. ტუში. ჭვირნიშნიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 19 გვ.

184. სვიმონ დავითის ძე გუგუნავას ლექსი „დრო“. მიძღვნილი კოტე ყიფიანისადმი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.



1881 წ. 24 იანვარი. ნაგომარი. ხელნაწერი. ტუში. 6 გვ.

185. ა). რ. ერისთავის ლექსი „კაცი ის არის...“ ბ). აკ. წერეთელი „ფუტკარი და ხარაბუზა“. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1886 წ. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

186. რაფიელ ერისთავის ლექსი „რძალ-დედამთილის ჩხუბი“. გაზ. „ივერია“. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1896 წელი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

187. ა). რ. ერისთავის ლექსი „მევენახის სიმღერა“. გაზეთი „ივერია“, 1886 წ. 4, ბ). სილოვანის ლექსი „ახალი წელიწადი“. გაზეთი „ივერია“. 1886 წ. 2. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.

188. უცნობი ავტორის ლექსი-მიძღვნილი აკაკი წერეთლისადმი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

189. სოფ. სარმანიშვილის კარში, გლეხ გიორგი ტაბატაძისგან გაგონილი ლექსი. ჩანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

190. უცნობი ავტორის ლექსის ფრაგმენტი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

191. უცნობი ავტორის სახუმარო ლექსი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

192. უცნობი ავტორის უსათაურო ლექსი („Нам жизнь дана, чтобы любить“). გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 გვ.

193. ვლ. ჟუკოვსკის ლექსი „მონა“ („Паб“). ნიკო დადიანის თარგმანი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

194. სხვადასხვა ავტორთა ლექსები გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ: ა). მ. გურიელის „ადამიანი“, ბ). ნანყვეტი დ. ერისთავის დრამიდან „სამშობლო“ (ლოცვა), გ). აკ. შანიძის „ქართული ეროვნული ჰიმნი“ „ალი-ფაშას“ ხმაზე, დ). მ. გურიელის (ფაზელი) „ალავერდი“, ე). ს. ფაშალიშვილის „სტრიქონები“, ვ). ს. გუგუნავას „დრო“, ზ). კ. მაცაშვილის „ტრანსვაალელის გლოვა“, თ). ს. ოქრუაშვილი-ზაქრადის „სიმღერა“, ი). ლ. გეგეჭკორის „დილა“, კ). ე. რამგაუზის „საათი“, ლ). დობროლიუბოვის უსათაურო ლექსი.  
უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 16 გვ.

195. „თეატრის მუშაკთა სადიდებლად“. მიძღვნილი ლექსები თეატრალური მოღვაწეებისადმი: ა). გ. ერისთავი; ბ). დ. ყიფიანი; გ). რ. ერისთავი; დ). ივ. მაჩაბელი; ე). ზურ. ანტონოვი; ვ). დ. ერისთავი; ზ). ა. ყაზბეგი; თ). დ. ი. ყიფიანი; ი). გ. ერისთავი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 6 გვ.

196. ლექსი „ალავერდი“. გრაფ სოლოგუბის თარგმანი. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე 2 ეგზემპ. 6 გვ.

197. სხვადასხვა ავტორთა ლექსები: ა). კ. მიქელაძის – ლექსი, უსათაურო; ბ). დ. თომასვილის – „მოლოდინში“; გ). დ. თომასვილი – „ხალხური სიმღერა“; დ). მ. გურიელის (ფაზელი) – „ალავერდი“; ე). მ. გურიელის (ფაზელი) – „ადამიანი“; ვ). ოქრუაშვილის – „სიმღერა“. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. ქართულ და რუსულ ენებზე. 17 გვ.

198. ა) გ. ლადოშვილის ლექსი „სურვილი“. ბ) ა. თალაკვაძის უსათაურო ლექსი. დაბეჭდილია ჟურნალ „ნიშადურში“. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

199. ლილიენ შვაგორის ლექსი „В вагоне на Прусской дороге“ გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 4 გვ.

200. ვ. ბენედიქტოვის ლექსები: 1. „შესვლა აკრძალულია“ („Вход встречается“). „რალაც პირუტყვზე“. 2. („Нечто о скотах“). გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 10 გვ.

201. აკ. წერეთლის ლექსი: „მგოსანი“. თარგმანი ი. კ. ივაშკევიჩისა. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

### ჩანახატები

202. კოტე ყიფიანის ნახატი. ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი.  
უთარილო. ნახატი. ფანქარი. 14X18 სმ.

203. ქალის პორტრეტი. დიმიტრი ყიფიანის ნახატი. კოტე ყიფიანის წარწერით „მამაჩემის დახატული ჩემი და ბაბაღე“.   
უთარილო. ნახატი. მინანერი. ფანქარი. ტუში. 14X22 სმ.

204. საქართველოს ძველი ღერბი მხედრული წარწერით. შესრულებული კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ნახატი. ტუში. წითელი მელანი. 35X47 სმ.

205. საქართველოს ძველი ღერბი ასომთავრული წარწერით. შესრულებული კოტე ყიფიანის მიერ.  
უთარილო. ნახატი. შავი აკვარელი. 32X52 სმ.

### სხვადასხვა

206. ნ. მ. გ-ს ზღაპარი „Чудный цветок“. ავტორი გაურკვეველია. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1899 წ. ოდესა. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

207. დიმიტრი ყიფიანის განცხადების ასლი საადგილმამულო ბანკის დაარსების პირობების შესახებ. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1884 წ. 2 თებერვალი. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

208. მერი (მარია) ფონდერ ნონეს კომედია „წვრილმანი“ („Пустяки“). კომედია 3 მოქმედებად და 2 სურათად. გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ.  
1885 წ. 2 აპრილი. ბაქო. ხელნაწერი. ტუში. რუსულ ენაზე. 49 გვ.

209. სიგელი კოტე ყიფიანის ქართული დრამატიული საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ.  
1913 წ. 21 აპრილი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე ნ. ტარსაიძე, მდივანი: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. ლითოგრაფიული ნახატი. 1 გვ.

210. „ახალი მოამბე“ – საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი. ნინო ყიფიანის წერილი მ. ხ..!-სადმი. გამოთქვამს გულისტკივილს იმის შესახებ, რომ აღარ არსებობს სერიოზული ლიტერატურული ჟურნალი, ისპობა მხატვრული მწერლობა და არ არის კრიტიკა.  
1915 წ. 1 ივნისი. თბილისი. ზღანკი. დასტამბული. 1 გვ.

211. ლექსი „სადღესო“. ავტორი – ცოტნე (გვარი უცნობია). გადანერილი კოტე ყიფი-

ანის მიერ.

1918 წ. აპრილი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

212. აკაკი ფაღავას წერილი „კოტე ყიფიანი“ (1849-1921 წწ).  
1936 წ. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 13 გვ.

213. კოტე ყიფიანის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც გაიმართა საქ. თეატრალურ საზოგადოებაში. საღამოზე მოხსენებით გამოვიდნენ: გუგული ბუხნიკაშვილი, აკაკი ფაღავა, სერგო გერსამია, იოსებ იმედაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი.  
1949 წ. 14 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 43 გვ.

214. ბრეს დრამა „ავი სენი“. 3 მოქმედება თარგმანი ნ. ბ. ყიფიანისა (ექიმის როლი).  
გადაწერილი კოტე ყიფიანის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. 62 გვ.

215. საშა ბერიაშვილის ლექსი მიძღვნილი კოტე ყიფიანისადმი.

უთარილო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

216. ა. გრიბოედოვის პიესა „ვაი-ჭკუისაგან“. ჩაცკის მონოლოგი. გადაწერილი კოტე ყიფიანის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. შავი მელანი. 3 გვ.

217. გამოცანები. შეკრებილი ნინო ყიფიანის მიერ. გადაწერილი კოტე ყიფიანის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

218. ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“. მონოლოგი. Монолог „Записки сумашедшего“  
გადაწერილი კოტე ყიფიანის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში. ფანქარი. 7 გვ.

219. ნინო ყიფიანის ლექსები: ა). „წმინდა საფლავნი“, დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად, მიბაძვა ვ. ჰიუგოს თხზულებიდან; ბ). „ბრძოლის ველზედა, შემდგომ ბრძოლისა“, დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად, მიბაძვა ვ. ჰიუგოსადმი.

უთარილო. ბრიუსელი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

220. საქართველოს გეოგრაფიული რუკა. კოტე ყიფიანის არქივიდან.

უთარილო. დასტამბული. 1 გვ.

221. კოტე ყიფიანის ადრესის ყდა. შემკული ლითონის ყვავილის ორნამენტით.

უთარილო. მუყაო. 1 ც.